სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №11/01-01, 24.01.2017წ.
დანართი №1

2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ის პროგრამის ფარგლებში ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებსა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებსა და პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.
3. კანდიდატების შერჩევა
კანდიდატების შერჩევა ხორციელდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების გამოყენებით თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.
შეფასების კრიტერიუმები:
სტუდენტები:
1. აკადემიური მოსწრება (0-30)
2. მოტივაცია (0-30)
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო კურსების თანხვედრა (ბაკალავრებისა და მაგისტრების შემთხვევაში)/სამუშაო გეგმა (დოქტორანტების შემთხვევაში) (0-20)
4. საერთაშორისო გამოცდილება (0-5)
5. ენის ცოდნის დონე (0-15)

პერსონალი:
1. მობილობის შედეგი (0-15)
2. სამუშაო გეგმა (0-30)
3. მოტივაცია (0-30)

4. ენის ცოდნის დონე (0-15)
5. საერთაშორისო გამოცდილება (0-10)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.